ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის შესახებ № 71

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო **2023 წლის 23 მაისი** ქ. თბილისში

შემსყიდველი: - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი, დეპარტამენტის უფროსის **თავდაცვის პოლკოვნიკი კახა პეტრიაშვილის** სახით.

მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის №20, ს.კ. **204563668**. ტელ – 291-06-74.

საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი - სახ. ხაზინა, კოდი – **22010122;** ანგ. **№200122900**. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ელ. ფოსტა: milpolgeo@gmail.com

მიმწოდებელი: **შ.პ.ს. "გორგია"** **სკ: 245621288**

- **მისამართი**: ქ. თბილისი წერეთლის ქ №140 ტელ: 0322 960 960;
- **ხელმძღვანელი:** **მინდობილი პირი: ქეთევან ლომაძე** ელ.ფოსტა: sip@gorgia.ge
- **საბანკო რეკვიზიტები:** **ანგ. №GE62TB1007 5360 2010 0008** ს.ს ,,თი ბი სი ბანკი" ც/ფ კოდი**TBCBGE22**

საფუძველი: - -„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტი; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 29.12.2022 წლის №1164 ბრძანება. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის 04.05.2023 წლის №503021 პატაკი.

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოსშემსყიდველს ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობის და ფასის შესაბამისად:

სხვა და სხვა სახის სამეურნეო საქონელი

(საქონლის მოკლე აღწერა)

1.2. ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების საგანი და ფასი

2.1. საქონლის დასახელება, ძირითადი მახასიათებლები, აგრეთვე რაოდენობა ერთეულის ფასი და საჭიროების შემთხვევაში საგარანტიო პირობები მოყვანილია №1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება** შეადგენს:

865.15 (რვაას სამოცდა ხუთი ლარი და 15 თეთრი) ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასაახდს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. მიწოდების წესი

3.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) მითითებულ ადგილზე.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულებაზე შემსყიდველის მიერ კვალიფიციური ელოქტრონული შტამპის დადების თარიღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში თუ იგი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით და ხელშეკრულების დანართი №1 - ით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოდ შეფუთული, ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის პარტიის მიღებაზე.

3.5. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.6. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.7. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

3.8. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის შეძენამდე განახორციელოს შესაძენი საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება, საქონლის გადაცემის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. საქონლის გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ხელშეკრულების ან მოუწოდებელი საქონლის საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო შემსყიდველის მიერ გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს მაქსიმუმ გადაუხდელი თანხის 2%.

5.3. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი და ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

6. სხვა პირობები

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის **დღიდან** და მოქმედებს **2023 წლის 3 ივლისის ჩათვლით.**

6.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.3. ხელშეკრულების დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლებისხელმოწერით.

6.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

შემსყიდველი

კ. პეტრიაშვილი

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის

უფროსი თავდაცვის პოლკოვნიკი

მიმწოდებელი

ქ. ლომაძე

შპს „გორგია"-ს

მინდობილი პირი

Ketevan Lomadze 26001015243

Digitally signed by Ketevan Lomadze
Date: 2023.05.24 10:37:11

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი

23 მაისი 2023 წელი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი თავდაცვის პოლკოვნიკი კახა პეტრიაშვილი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და აღრიცხვის სამმართველოს I განყოფილების უფროსი **თავდაცვის მაიორი უჩა ალადაშვილი (პ/ნ 14001006217)** ვადასტურებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ **შპს „გორგია“**-სთან **(ს/კ 245621288)** გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (2023 წლის 23 მაისს გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №71 ხელშეკრულების ფარგლებში) შესყიდვის განხორციელება/მონაწილეობის მიღება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და **შპს „გორგია“**-სთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

შემსყიდველის მხრიდან

თავდაცვის პოლკოვნიკი კახა პეტრიაშვილი

Military Police Department of Defence Forces of Ministry of Defence of Georgia

Digitally signed by Military Police Department of Defence Forces of Ministry of Defence of Georgia
Date: 2023.05.24 11:56:54 +04'00'

მიმწოდებლის მხრიდან

ქ. ლომაძე

Ketevan Lomadze 26001015243

Digitally signed by Ketevan Lomadze
Date: 2023.05.24 10:37:38

დანართი № 1

2023 წლის 23 მაისის № 71 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	ზ/ერთეული	რ-ბა	ე/ფასი	საერთო ღირებულება	CPV კოდი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	დასაჯეკი ხელსაწყო (HMPCN2468R)	ცალი	3	21.7	65.1	44510000	თბილისი კვინიტაძის N20	იხილეთ 3.2 პუნქტი
2	TOLSEN TOL 2197-38035 ციფრული საზომი ტესტერი"	ცალი	1	158.6	158.6	38341300		
3	საკანცელარიო დანა 61*19MM TOL69-30007	ცალი	6	11.5	69	30192000		
4	keengross-საიზოლაციო ლენტი შავი 19mmX10y	ცალი	10	0.85	8.5	31651000		
5	EMTOP ჩაქუჩი 300გრ EHAMMH0300	ცალი	3	10.5	31.5	44512300		
6	ბურღი SDS plus-5x 20x550x600მმ	ცალი	2	88.7	177.4	44512900		
7	ბრტყელტუჩა მკვნეტარა მეტალის რეზინის სახელურით 160mm 6 TOL386-10018	ცალი	5	15.25	76.25	44512200		
8	TOL927-20042 სახრახნისი საცვლელი პირებით 2ც-იანი	ცალი	4	5.1	20.4	44512800		
9	ბურღი CYL-3, 6x60x100mm	ცალი	6	4.9	29.4	44512910		
10	ელექტრო ბურღი cobalt 3,5 MM TOL 631-75145	ცალი	26	2.25	58.5	44512900		
11	ელ.ბურღის საცვლელი პირი 3,5mm 2ც.-იანი DT5041-QZ	ცალი	6	10.9	65.4	44512900		
12	საკანცელარიო დანის სათადარიგო პირები 10ც. იანი 61*19 MM TOL200-30010	ცალი	5	2.8	14	30192000		
13	ელექტრო ბურღის საცვლელი პირი მეტალის (სვერლო) 6,0მმ * 100 TOL 1442-75505	ცალი	9	2.5	22.5	44512900		
14	ელ. ბურღის საცვლელი პირი SDS+6mm x210mm DT9636-QZ	ცალი	7	6.2	43.4	44512900		
15	ბურღი 6*210MM TOL 365-75342	ცალი	7	3.6	25.2	44512910		

სულ თანხა: **865.15** (რვაას სამოცდა ხუთი ლარი 15 თეთრი) ლარი

შენიშვნა: თანხა CPV კოდების მიხედვით	301 00000	83
	316 00000	8.5
	383 00000	158.6
	445 00000	615.05

შემსყიდველი
კ. პეტრიაშვილი

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის
უფროსი თავდაცვის პოლკოვნიკი

მიმწოდებელი
ქ. ლომაძე

შ.პ.ს. "გორგია"-ს
დირექტორის მინდობილი
პირი

Ketevan Lomadze 26001015243
Digitally signed by Ketevan Lomadze
Date: 2023.05.24 10:38:08